ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №80

19.03.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე (**ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“**), ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჯაფარიძე (**ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარი წევრი**), თარაშ შურღაია.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 12 მარტის №12-032107139-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 15 მარტის №12-032107460-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 თებერვლის №12-032104946-03 წერილი - გარემოს დაცვის კომისიის (05.03.21წ.) სხდომაზე, დამატებითი შესწავლის მიზნით, გადადებული 3 საკითხი (1-ლი, მე-2 და მე-9 წინადადება)) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107743-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107744-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზექ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107745-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107747-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 12 მარტის №12-032107139-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 10 მარტის №21.274.327 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 7 წინადადება - №012105034153-67(№01210491627-67); №01210433138-67; №01202901350-67; №01210601249-67; №0121055455-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2 ინიციატივა).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და**

ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.039.578 და მიმდებარედ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2), საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) და საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიმდებარე განაშენიანების ხელშეწყობა, რაც მიზანშეწონილია განხორციელდეს ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების გზით. ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება ხელს შეუწყობს როგორც აღნიშნული მიზნის მიღწევას, ასევე, მოხდება სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულებზე ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№012105034153-67(№01210491627-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.03.010.188 და მიმდებარედ) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 1-ლი მარტის №01210601397 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მონაკვეთზე ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.03.010.188 და მიმდებარედ) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) და სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01210433138-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის I მ/რ, კორპუსი №17-ის მიმდებარედ, ე. ბედიას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.01.007.252; №01.14.01.007.133; №01.14.01.007.263; №01.14.01.007.135; №01.14.01.002.140-ის ნაწილი და მიმდებარედ) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 1-ლი მარტის №01210601405 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ სატყეო ზონის და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

საპროექტო არეალის მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი განაშენიანებით. დომინირებულ სახეობას წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის I მ/რ, კორპუსი №17-ის მიმდებარედ, ე. ბედიას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.01.007.252; №01.14.01.007.133; №01.14.01.007.263; №01.14.01.007.135 №01.14.01.002.140-ის ნაწილი და მიმდებარედ) ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01202901350-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, კოჯორში, სოფელ კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.07.573) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის

საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 1-ლი მარტის №18-01210603387 წერილით, თანახმაა დანართით წარმოდგენილ ტერიტორიაზე (ქალაქ თბილისი, კოჯორი, სოფელი კვესეთი (საკადასტრო კოდი: №81.01.07.573 და მიმდებარე ტერიტორია)) განხორციელდეს ძირითადი და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კოჯორში, სოფელ კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.07.573) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01210601249-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, უწერას ქუჩა №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.01.014.037) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2).

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ - ჩრდილოეთ ნაწილში საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება, ხოლო დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

№01.11.01.014.037 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე არეალი განაშენიანებულია დაბალი ინტენსივობით, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რაც შესაბამისობაში იქნება გარემო-განაშენიანებასთან.

ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უწერას ქუჩა, №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.01.014.037) და მის მომიჯნავედ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№0121055455-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ა. ბელიაშვილის ქ. №149-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.02.003.205) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 5 მარტის №01210642669 წერილის მიხედვით, თანახმაა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ფენის მოხსნა.

ძირითადი და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა გავრცელებულია №01.13.02.003.205 საკადასტრო ერთეულზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე. ვინაიდან ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ნაგებობის რეკონსტრუქცია და ობიექტის განვითარება, მიზანშეწონილია შენობა-ნაგებობის ნაწილზე შეიცვალოს ფუნქციური ზონა.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში ნადიკვრის ქუჩის მიმდებარედ „თაბორის“ მთის კალთაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.18.04.020.209, №01.18.04.020.208, №01.18.01.002.298) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის, საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), სატყეო ზონით და

სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ასევე, გამწვანებულ ტერიტორიების რუკის ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და მცირე ნაწილზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 10 მარტის №18-0121069300 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგვის სამსახური, 2021 წლის 10 მარტის №16-01210684664 წერილის მიხედვით, წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №012105034153-67(№01210491627-67); №01210433138-67; №01202901350-67; №01210601249-67; №0121055455-67 განცხადებასთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ორ ინიციატივასთან (სულ: 7 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 12 მარტის **№12-032107139-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №012105034153-67(№01210491627-67); №01210433138-67; №01202901350-67; №01210601249-67; №0121055455-67 განცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

2 ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 12 მარტის **№12-032107139-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №012105034153-67(№01210491627-67); №01210433138-67; №01202901350-67; №01210601249-67; №0121055455-67 განცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2 ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 15 მარტის №12-032107460-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 12 მარტის №21.300.335 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01210501089-67(№01210683410-67; №012107664-67)).

ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - №01210501089-67(№01210683410-67; №012107664-67)) განცხადებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.052) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.561), შერეული ფუნქციის (სასაწყობე, საოფისე, სავაჭრო) კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 7 აგვისტოს №2253 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შემდეგ, №01.72.14.014.561 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა №01.72.14.014.052, №01.72.14.014.053, №01.72.14.006.637 და №01.72.14.006.638 საკადასტრო ერთეულებად, რომელთაგანაც სამ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.053, №01.72.14.006.637 და №01.72.14.006.638) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), როგორც ეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად იქნა დადგენილი.

რაც შეეხება №01.72.14.014.052 საკადასტრო ერთეულს, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, მასზე ასევე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) ვრცელდება, თუმცა განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მისი ზონირება განისაზღვრა სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:

№01.72.14.014.052) ფუნქციური ზონის ცვლილება, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01210501089-67(№01210683410-67; №012107664-67) განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 15 მარტის **№12-032107460-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01210501089-67(№01210683410-67; №012107664-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 15 მარტის **№12-032107460-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01210501089-67(№01210683410-67; №012107664-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 თებერვლის №12-032104946-03 წერილი - გარემოს დაცვის კომისიის (05.03.21წ.) სხდომაზე, დამატებითი შესწავლის მიზნით, გადადებული 3 საკითხი (1-ლი, მე-2 და მე-9 წინადადება))

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2021 წლის 5 მარტის კომისიის სხდომაზე (ოქმი №79) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის №21.179.219 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალით (პროექტით) და განმარტებითი ბარათით წარმოდგენილი **№01203512123-67, №01210356-67 და №012022243-67 განცხადება.**

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

- **№01203512123-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მიკრო/რაიონი, 03/068 მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.003.068) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა - (განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი)).

მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.17.10.003.068 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 9 თებერვლის №18-01210393761 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, მიკრო/რაიონი IV, 03/068 მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.003.068) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- **№01210356-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, რესტორან „ალაზანი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.17.13.037.022; №01.17.13.037.021, №01.17.13.037.018) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) – (განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი)).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2021 წლის 17 თებერვლის №0121048223 წერილით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, საკადასტრო ერთეულის საზღვრებში სატრანსპროტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების წინააღმდეგი არ არის. ამასთან, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო ერთეულის საზღვრებს მიღმა მონაკვეთებზე (აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს) მოხდეს სატრანსპორტო ზონის სწორხაზოვნად გავრცელება.

საპროექტო მიწის ნაკვეთების საზღვრებს მიღმა მოუწესრიგებელია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების არეალი. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

აქედან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, №01.17.13.037.022; №01.17.13.037.021 და №01.17.13.037.018 საკადასტრო ერთეულების საზღვრის შიგნით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეიცვალოს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), ხოლო, აღნიშნული მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრის მიღმა არსებული საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, რესტორან „ალაზანი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.17.13.037.022; №01.17.13.037.021 და №01.17.13.037.018) ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), ხოლო აღნიშნული საკადასტრო კოდების მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) მისაღებია.

- **№012022243-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.122.074) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) – (განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი)).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 27 იანვრის №18-01210271523 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 17 თებერვლის №0121048215 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა განხორციელდეს ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01203512123-67, №01210356-67 და №012022243-67 განცხადებასთან (სულ: 3 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 18 თებერვლის **№12-032104946-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული **№01203512123-67, №01210356-67 და №012022243-67 განცხადების** (სულ: 3 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 18 თებერვლის **№12-032104946-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული **№01203512123-67, №01210356-67 და №012022243-67 განცხადების** (სულ: 3 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107743-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის №21.319.275 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 14 წინადადება - №01210613419-67; №01210352370-67; №01210481693-67; №0121049291-67; №01210553660-67; №0121060755-67; №01210184999-67; №01210693986-67; №01210601147-67; №01210413210-67; №0121064715-67; №01210644125-67(№01210573723-67); №01210711915-67; №0121055197-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01210613419-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გამცემლიძის ქუჩა №23-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.054.021-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 10 მარტის №01210691775 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01210352370-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ „ისანი“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.027.003) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (რზ-2) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 19 თებერვლის №01210503078 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, **აზრი გამოთქვეს:**

გ-ნმა გ. ტყემალაძემ და რ. სოხაძემ - სივრცით-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ „ისანი“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.027.003) მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნისა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (რზ-2) გავრცელების საკითხი საჭიროებს დეტალურ შესწავლას, რის გამოც მიზანშეწონილია საკითხის განხილვა გადადებულ იქნას დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01210352370-67 განცხადების** განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01210481693-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ახალდაბის სატყეო ტერიტორიაზე, (ნაკვეთი №146/2) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.146.002) მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 4 მარტის №01210633879 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა.

ასევე, №01.20.01.146.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწთსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და მცირე ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით სატყეო ზონის მცირე ნაწილი (5კვ.მ) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ახალდაბის სატყეო ტერიტორიაზე, (ნაკვეთი №146/2) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.146.002) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№0121049291-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.021.044-ის ნაწილზე) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 1-ლი მარტის №01210601409 წერილის მიხედვით, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების თანახმად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ასევე, №01.72.14.021.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწთსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით №01.72.14.021.044 საკადასტრო ერთეულის აღმოსავლეთით დარჩენილი სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მცირე ნაწილიც იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1). ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.021.044-ის ნაწილზე) და მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01210553660-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლოჭინის დასახლებაში, კორპუსი №2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.182) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 10 მარტის №0121069281 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

№01.19.14.004.182 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).

№01.19.14.004.182 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ გავრცელებულია ზოგადი საცხოვრებელი ზონა. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ზემოაღიშნულ მიწის ნაკვეთზეც გავრცელებულ იქნას მომიჯნავედ არსებული ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ) და შესაბამისი კვლევის საფუძველზე ტერიტორიას განესაზღვროს კონკრეტული საცხოვრებელი ქვეზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლოჭინის დასახლებაში, კორპუსი №2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.182) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელ ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№0121060755-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.922-ის მიმდებარედ და №81.08.28.925-ის ნაწილზე) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 10 მარტის №0121069355 წერილის მიხდვით, თანახმაა აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ფენის მოხსნა.

№81.08.28.925 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწთსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით მთლიანად ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.922-ის მიმდებარედ და №81.08.28.925-ის ნაწილზე) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება, ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენის ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01210184999-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ხელოვანთა ქუჩა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.007.078) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 2 -ით (სზ-2) ცვლილება.

№01.17.09.007.078 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს უმეტესად დაბალი ინტენსივობის გარემო განაშენიანებაში. საკვლევი არეალი შემოსაზღვრულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით. შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი ხასიათიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ არის არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდებოდეს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). გარდა ამისა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.007.078) კერძო მესაკუთრის მიერ იგეგმება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რაც მასზე გავრცელებული ფუნქციური ზონის პირობებში შეუძლებელია.

გარდა ამისა, №01.17.09.007.078 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო მეორე ნაწილზე ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზეც გავრცელებულია ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). ქალაქგეგმარებითად მიზანშეწონილია ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზეც მთლიანად გავრცელებულ იქნას მომიჯნავედ არსებული ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ) და შესაბამისი კვლევის საფუძველზე ტერიტორიას განესაზღვროს კონკრეტული საცხოვრებელი ქვეზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ხელოვანთა ქუჩა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.007.078) ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01210693986-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3ა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.012.052, №01.19.39.012.054) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 2 თებერვლის №61-01210332237 წერილით, სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, №01.19.39.012.052 და №01.19.39.012.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელებული ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 25 იანვრის №18-01210211679 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 16 მარტის №01210751232 წერილის თანახმად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3ა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.012.052, №01.19.39.012.054) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გაწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ი“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№01210601147-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რაჭის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.278 და მიმდებარედ) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების არეალი აცდენილია ფაქტობრივი მდგომარეობით არსებულ გზას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი და მოყვანილ იქნას შესაბამისობაში არსებულ გზასთან. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №81.08.28.278 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

წარმოდგენილი საპროექტო მონაკვეთი წარმოადგენს საჯარო სივრცეს და ფაქტობრივად გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 15 მარტის №18-0121074650 წერილის მიხედვით, თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ- სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 15 მარტის №01210744214 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) გავრცელების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რაჭის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.278 და მიმდებარედ) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „კ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№01210413210-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.010.011, ნაკვეთი №10/11) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.14.08.010.011 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 15 მარტის №18-01210743630 წერილით, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.010.011; №01.14.08.010.030; №01.14.08.010.029; №01.14.08.010.004 და მიმდებარე ტერიტორია) განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.010.011, ნაკვეთი №10/11) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ლ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი) - **№0121064715-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ლუკოილის ბენზინგასამართის მიმდებარედ (ნაკვ. 13/028); ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ფიროსმანის ქუჩა №12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.17.013.028, №01.19.17.013.077) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა.

ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით და ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განიხილება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენების მოხსნის საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 15 მარტის N01210743592 წერილით, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენები.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებულია ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ამდენად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული სახე და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ლუკოილის ბენზინგასამართის მიმდებარედ (ნაკვ. 13/028); ქალაქ თბილისში, ორხევის

დასახლებაში, ფიროსმანის ქუჩა №12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.17.013.028; №01.19.17.013.077) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „მ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-12 პუნქტი) - **№01210644125-67(№01210573723-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირ №82-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.10.001.073) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 15 მარტის №01210743599 წერილით, თანახმაა წარმოდგენილ ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება №01.14.10.001.073 საკადასტრო ერთეულის მცირე ნაწილზე იხსნება გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენა და ვრცელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირ №82-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.10.001.073) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ნ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-13 პუნქტი) - **№01210711915-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №182-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.261, №01.72.14.034.403) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 25 იანვრის №01210252911 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირთან - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, 2021 წლის 19 თებერვლის №16-0121050196 წერილით, საპროექტო ტერიტორიაზე შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 16 მარტის №01210751222 წერილის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.72.14.034.261 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №182-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.261; №01.72.14.034.403) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ო“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-14 პუნქტი) - **№0121055197-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, შატილის №1 შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.03.007.034) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

საპროექტო ობიექტის მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია საწარმოო და სამრეწველო დანიშნულებით. №01.12.03.007.034 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ გავრცელებულია სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია სასაწყობო მეურნეობის მოწყობა, ამდენად, ტერიტორიის სამშენებლო განვითარებას ექნება ერთიანი ხასიათი და არ გამოწვევს გარემო-განაშენიანების სტრუქტურის რღვევას.

ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ ხორციელდება საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შატილის №1 შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.03.007.034) ნაწილზე და მომიჯნავედ საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01210613419-67; №01210481693-67; №0121049291-67; №01210553660-67; №0121060755-67; №01210184999-67; №01210693986-67; №01210601147-67; №01210413210-67; №0121064715-67; №01210644125-67(№01210573723-67); №01210711915-67 და №0121055197-67 განცხადებასთან (სულ: 13 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. გადადებულ იქნას **№01210352370-67** განცხადებით, ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ „ისანი“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.027.003) მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნისა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (რზ-2) გავრცელების საკითხის განხილვა.

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 მარტის **№12-032107743-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 13 წინადადება - №01210613419-67; №01210481693-67; №0121049291-67; №01210553660-67; №0121060755-67; №01210184999-67; №01210693986-67; №01210601147-67; №01210413210-67; №0121064715-67; №01210644125-67(№01210573723-67); №01210711915-67; №0121055197-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას №01210352370-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ „ისანი“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.027.003) მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნისა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (რზ-2) გავრცელების საკითხის განხილვა.

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 მარტის **№12-032107743-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 13 წინადადება - №01210613419-67; №01210481693-67; №0121049291-67; №01210553660-67; №0121060755-67; №01210184999-67; №01210693986-67; №01210601147-67; №01210413210-67; №0121064715-67; №01210644125-67(№01210573723-67); №01210711915-67; №0121055197-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107744-03 წერილი)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული

ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის №21.325.378 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01210222427-67(№01210492976-67; სამსახურეობრივი ბარათი: №16-01210711369); №01210703673-67)).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01210222427-67(№01210492976-67; სამსახურეობრივი ბარათი: №16-01210711369) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა №125ა; ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. №25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის №86 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა №125ა; ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01210703673-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №17დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.126) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩაზე შ.პ.ს „ვარკეთილი 96“-ის მიმდებარედ, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-7 კვარტალი, კორპუსი №7-ის მიმდებარედ, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №272 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

„ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩა, ვარკეთილის დასახლება III მასივი, №7 კვარტალი, №7 კორპუსისა და შპს „ვარკეთილი 96“-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.079) სავაჭრო კომპლექსის

პროექტის დასამუშავებლად 2012 წლის 30 იანვარს გაცემულ №87 განაშენიანების რეგულირების გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №170 განკარგულების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე სავაჭრო კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში და საპროექტო არეალში დაფიქსირდა №01.19.20.024.126 საკადასტრო ერთეული (განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო ტერიტორიის ჯამურ ფართობად - 9399 კვ.მ.).

ასევე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.19.20.024.126 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, **აზრი გამოთქვა:**

გ-ნმა გ. დოხტურიშვილმა - სივრცით-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №17დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.126) ფუნქციური ზონის, ასევე, №01.19.20.024.126 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილების საკითხი საჭიროებს შესწავლას, რის გამოც მიზანშეწონილია საკითხის განხილვა გადადებულ იქნას დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01210703673-67 განცხადების** განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01210222427-67(№01210492976-67; სამსახურეობრივი ბარათი: №16-01210711369) **განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებულ იქნას** დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №17დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.126) ფუნქციური ზონის, ასევე, №01.19.20.024.126 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილების საკითხის განხილვა (განცხადება №01210703673-67).

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 მარტის №12-032107744-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01210222427-67(№01210492976-67; სამსახურეობრივი ბარათი: №16-01210711369)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას** დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №17დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.126) ფუნქციური ზონის, ასევე, №01.19.20.024.126 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილების საკითხის განხილვა (განცხადება №01210703673-67).

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 მარტის №12-032107744-03 წერილით წარმოდგენილი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01210222427-67(№01210492976-67; სამსახურეობრივი ბარათი: №16-01210711369)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზექ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107745-03 წერილი)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ცვლილება შედის “ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების წესებში, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის „ტ” ქვეპუნქტი, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) რეგლამენტი. წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ში ძირითადი დასაშვები სახეობა ხდება საოფისე შენობა-ნაგებობა. ხოლო რესტორნის განთავსება შესაძლებელი ხდება როგორც საგამონაკლისო სახეობა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე.

ამასთან, ცვლილება შედის განაშენიანების რეგულირების წესების 37-ე მუხლის მე-6 პუნქტშიც. კერძოდ, არსებული რედაქციით ღობის მოწყობა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დასაშვები იყო იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელიც მდებარეობს სატყეო ზონისა და საცხოვრებელი ზონის მოქმედების არეალში.

არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ფარგლები იზრდება და ღობის მოწყობა დასაშვები ხდება იმგვარ მიწის ნაკვეთებზეც, რომელიც მდებარეობს საცხოვრებელ ზონასთან ერთად სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ან ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოქმედების არეალში. თუმცა კვლავ გათვალისწინებულ უნდა იქნას განაშენიანების რეგულირების წესების 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის მოთხოვნები: ,,სამშენებლო მიწის ნაკვეთის შემოღობვა დასაშვებია არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს გრუნტის ზედაპირიდან 1,8 მეტრს.''

წარმოდგენილი ცვლილების შედეგად, განაშენიანების რეგულირების წესების 37-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„6. თუ მიწის ნაკვეთი ხვდება საცხოვრებელ ზონასთან ერთად სატყეო ზონის, სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1), ან ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოქმედების არეალში, ღობის მოწყობა დასაშვებია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დაცვით.''

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 მარტის №12-03210745-03 წერილით წარმოდგენილი “ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 მარტის №12-03210745-03 წერილით წარმოდგენილი “ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107747-03 წერილი)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, მიმდინარე სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, გეგმავს დედაქალაქში საბაგირო ტრანსპორტის განვითარებას. ამ მიმართულებით, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ჩატარდა შესაბამისი კვლევით-ანალიტიკური სამუშაოები, რის შედეგადაც შეფასდა თბილისში საბაგირო ტრანსპორტის განვითარების მიზანშეწონილობა და პოტენციალი. ჩატარებული კვლევების საფუძველზე (მათ შორის, აღსანიშნავია საკონსულტაციო კომპანია „სისტრას“ 2016 წლის საბაგირო ტრანსპორტის გენერალური გეგმა და საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკის“ 2019 წლის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება), სამგორი/ისანი-ვაზისუბნის და სარაჯიშვილი-ზღვისუბნის კორიდორები განისაზღვრა როგორც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული საბაგირო დერეფნები, რის შესაბამისადაც მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, საქართველოს მთავრობის შუამდგომლობისა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ფრანგული საკონსულტაციო კომპანია "სისტრა" ამჟამად ახორციელებს პროექტის მოსამზადებელ კვლევით სამუშაოებს, ასევე, მიმდინარეობს რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო დერეფნის სამშენებლო სამუშაოები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 16 მარტის №16-01210751178 წერილით წარმოდგენილი დანართის შესაბამისად, მონიშნული საბაგირო დერეფნები დაცვის ბუფერების (სამშენებლო და სანებართვო შეზღუდვის არეალების მითითებით) შესაბამისად საჭიროა აისახოს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში.

შესაბამისად, განხორციელებული კვლევისა და სამუშაოების გათვალისწინებით, ცვლილება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში (დანართი №1) ითვალისწინებს შემდეგს:

პერსპექტიული ისანი-მეტრომშენი-ვაზისუბნისა და სარაჯიშვილი-ზღვისუბნის დამაკავშირებელი საბაგირო დერეფნების კორექტირებასთან ერთად, არსებული რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის დამაკავშირებელი დერეფნის ასახვას, სანებართვო-სამშენებლო შეზღუდვების დატანით.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, **აზრი გამოთქვეს:**

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა და ბ-ნმა რ. სოხაძემ - იმის გამო, რომ საკითხი საჭიროებს დეტალურ შესწავლას, მიზანშეწონილია მისი განხილვის გადადება.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 მარტის **№12-032107747-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში (დანართი №1) შესატანი ცვლილების) განხილვის გადადება დამატებითი შესწავლის მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 მარტის **№12-032107747-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში (დანართი №1) შესატანი ცვლილების) განხილვის გადადება დამატებითი შესწავლის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი